

2014 წლის 10 ნოემბერი

პროექტი - „ENIGMMA“-ს საინფორმაციო კამპანია
„საქართველო და ევროკავშირი - უფრო ახლოს ვიდრე გგონია“

ქ. თბილისი, 2014 წლის 15-16 ნოემბერი - ევროპის კავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ENIGMMA“ („მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“) ფარგლებში, 2014 წლის სექტემბერ-ნოემბრის თვეებში ხორციელდება საინფორმაციო კამპანია, რომლისმიზანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება მიგრაციის სფეროში საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის შესახებ და ინფორმაციის გავრცელება საქართველოში მიგრაციის მართვის კუთხით განვითარებულ მოვლენებზე.

იმის გარდა რომ, აღნიშნული კამპანია ეხება საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობას, იგი აგრეთვე, მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა: ასოცირების ხელშეკრულებსა და მისი სამოქმედო გეგმა, სავიზო ლიბერალიზაცია, უვიზო მიმოსვლა და შესაბამისი მიგრაციული პროცესები.

კამპანია შედგება შემდეგი აქტივობებისაგან:

- (1) ფოტო-კონკურსი**, რომელიც შედგება სამი კატეგორიისაგან: „იპოვე ევროკავშირი საქართველოში!“ და „იპოვე საქართველო ევროკავშირში!“; „რა არ იცის ევროპამ საქართველოს შესახებ?“, „მიგრაციის გამოცდილება“. კონკურსი მიმდინარეობდა 15 სექტემბრიდან - 31 ოქტომბრის ჩათვლით. დაჯილდოვების ცერემონია გაიმართება 16 ნოემბერს. სამივე კატეგორიაში გამოვლენილი საუკეთესო ფოტოგრაფი მიიღებს პროფესიონალი ფოტოგრაფიის კურსის ვაუჩერს. ყველა ფინალისტის (4 ფოტოგრაფი თითოეულ კატეგორიაში) ფოტო დაიბეჭდება პროექტის 2015 წლის კალენდარში;
- (2) ტრენინგი მიგრაციის საკითხებზე** ჩატარდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსა და იუსტიციის სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობით 2014 წლის 8-10 ოქტომბერს. აღნიშნული ტრენინგი განკუთვნილი იყო ყველა იმ სახელმწიფო უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლისთვის, რომელსაც მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია აერთიანებს;
- (3) საინფორმაციო ღონისძიება ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების შესახებ**, რომელიც მოიცავს დისკუსიას ასოცირების ხელშეკრულებასა და ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესახებ გაიმართება **15 ნოემბერს, 11:00–დან - 15:30 საათამდე, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში** (I კორპუსი, I სართული, ივ. ჯავახიშვილის სახელობის აუდიტორია). აღნიშნულ ღონისძიებას ინფორმაციის მოპოვების/შეგროვების ფორმატი აქვს. ღონისძიებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, საგარეო საქმეთა სამინისტრო, და სხვანი. მოლდოვას საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი მოწვეულია, რათა გაგვიზიაროს თავისი ქვეყნის გამოცდილება ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში. აღნიშნული ღონისძიების მთავარი სამიზნე აუდიტორიაა: სტუდენტები, საჯარო მოხელეები, სამოქალაქო საზოგადოება და ყველა სხვა პირი, რომელიც დაინტერესებულია საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებით და მიგრაციის სფეროში განვითარებული მოვლენებითა და პერსპექტივებით;

(4) არაფორმალური საზოგადოებრივი ღონისძიება ტარდება კვირას, 16 ნოემბერს, 11:00დან - 17:00 საათამდე მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში, სარკებიან დარბაზში.

ღონისძიება განკუთვნილია ფართო საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ბავშვებისათვის. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნება ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსებისა და მოცეკვავეების ნომრები, „ENIGMMA“-ს ფოტო-კონკურსში გამარჯვებულთა ნამუშევრები და გაიმართება დაჯილდოების ცერემონია, საინფორმაციო თამაშები და თავსატეხები ახალგაზრდა მონაწილეთათვის. აგრეთვე, წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია ევროკავშირში გაცვლითი სასწავლო პროგრამების და ასევე ზოგადი ინფორმაცია ასოცირების ხელშეკრულებასა და ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესახებ. ღონისძიებას წაიყვანს, თეატრთმცოდნეიკა წულუკიძე.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ:

ENIGMMA პროექტის მენეჯერი

ვიოლეტა ვაგნერი

ICMPD

T: +43 1 504 46 77 - 2391

Mob: +43 676 714 06 19

Violeta.Wagner@icmpd.org

www.icmpd.org/www.enigmma.ge

ENIGMMA ადგილობრივი პროექტის მენეჯერი

ზურაბ ყორღანაშვილი

ICMPD

T: +995 32 2 90 40 98

Mob: +995 5 99 283 728

Zurab.Korganashvili@icmpd.org

www.enigmma.ge

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD) დაარსდა 1993 წელს ავსტრიისა და შვეიცარიის ინიციატივით. ის საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობს. მართალია, ორგანიზაციას ევროპული ფესვები აქვს, მაგრამ იგი საქმიანობას ეწევა მთელ მსოფლიოში, მათ შორის, ევროპაში, აფრიკაში, ცენტრალურ აზიაში, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ ამერიკაში. მისი ექვსი კომპეტენციის ცენტრის მეშვეობით, ICMPD აწვდის ინფორმაციას და სთავაზობს ექსპერტიზას მიგრაციის ფენომენის შესახებ თავის 15 წევრ სახელმწიფოსა და სხვა პარტნიორებს. ამისათვის ICMPD იყენებს სამ საფეხურიან მიდგომას, რაც დაფუძნებულია: კვლევაზე, შესაძლებლობების გაძლიერებასა და მიგრაციის დიალოგზე.

პროექტი „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში ENIGMMA“ არის საქართველოს მიერ ევროკავშირი-საქართველოს პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების, ასევე ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმისა და მობილურობის შესახებ ხელშეკრულების, ვიზა ფასილიტაციისა და რეადმისიის ხელშეკრულებების განხორციელების პროცესში წარმატებით გადადგმული ნაბიჯების შედეგი.

პროექტი დაფინანსებულია ევროპის კავშირის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში. პროექტი დაიწყო 2013 წლის დეკემბერში და გაგრძელდება 2017 წლის ივნისამდე.

ICMPD-სა და ENIGMMA პროექტის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისათვის ესტუმრეთ: www.icmpd.org; www.enigmma.ge

ICMPD ონლაინ სივრცეში:

